



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 60

23 ოქტომბერი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის
სოფელ ყარაჯალაში მდებარე 361 338 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 53.10.34.063) სასოფლო-
სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
2. ეთხოვოს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო მესაკუთრეთა ინტერესების
დაკმაყოფილების შემდგომ, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიწის
ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 53.10.34.063) დარჩენილი უძრავი ქონება უკან
დაუბრუნდეს საკუთრებაში თელავის მუნიციპალიტეტს.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი
ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე